სამხედრო პროდუქციით ვაჭრობის გენერალური ლიცენზიის აღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- ✓ წერილობითი განცხადება;
- ✓ სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;
- ✓ სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ იმ პირთა სია (სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პროფესიის, სამუშაო ადგილის, პირადობის მოწმობის ნომრისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით, ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნისა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ცნობების წარმოდგენით), რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ სამხედრო პროდუქციის დამზადება, წარმოებასთან, შეკეთებასთან და მისით ვაჭრობასთან;
- ✓ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა (მისამართების მითითებით), რომლებშიც უნდა განხორციელდეს სამხედრო პროდუქციის დამზადება, წარმოება, შეკეთება და მისით ვაჭრობა;
- ✓ შესაბამის შენობა-ნაგებობაში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ შესაბამისი შენობა-ნაგებობის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ შესაბამისი შენობა-ნაგებობის სათანადო დაცვისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცია;

ნორმატიული აქტები:

- ✓ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“ (27-ე მუხლი)
https://matsne.gov.ge/document/view/14944?publication=75

- ✓ „საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (მე-9 და მე-9[1] მუხლები)
https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი (მე-6 მუხლი)
https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86

ვებ-გვერდი:
www.exportcontrol.mod.gov.ge